ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ბ 12452-16

"19" 09 2016 წ.

დადგენილება №000596
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

19.09.2016წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 16 სექტემბრის №000596 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ინდეკო"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №202376133, დირექტორი იოსებ გორგილაძე (№652136258, №61001017464 – დიდი ბრიტანეთი), მის: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №44) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №39-ში (საკ. კოდი №01.10.13.015.078) შ.პ.ს. "ინდეკო"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1009535 AR1176480 22.11.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „1-6" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „2-3" მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის სიმაღლე 0.2 მ-ით. „5-6" მონაკვეთში +3.70 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი, ამავე მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ავტოფარეხის კარის ღიობის გაბარიტები. ±0.00 ნიშნულზე „1-2" და „4-5" მონაკვეთებში ვიტრაჟებში შეცვლილია კარის ნახატი. +6.60 ნიშნულზე, „5-6" მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარი და ფანჯარა, ხოლო +9.90 ნიშნულიდან +46.20 ნიშნულამდე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე 0.7მ-ით და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი. +46.20 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია კოლონა და რიგელები, ხოლო „5-6" მონაკვეთში ტერასზე მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი, ასევე „6-6" ღერძის მიმდებარედ გაზრდილია სავენტილაციო შახტების გაბარიტები. „3-4" მონაკვეთში +6.60 ნიშნულიდან ზევით +52.80 ნიშნულამდე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი. „2-3" მონაკვეთში სადარბაზოს ღია აივნების ნაცვლად აივნის ფილებზე ამოყვანილია კედლები და მოწყობილია ღიობები მოაჯირით. +49.50 ნიშნულზე, „1-4" მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილით გადახურვა. „1-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე 0.15 მ-ით, ხოლო აივნებზე ვიტრაჟები შემცირებულია სიგანეში და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი. „6-1" ფასადი: „6-5" და „2-1" მონაკვეთებში შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე და შეცვლილია მათი ნახატი.

„6-6“ და „1-1“ ღერძების მიმდებარედ აივნებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „4-3“ მონაკვეთში სართულებზე შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე და შეცვლილია მისი ნახატი. „6-5“ მონაკვეთში +46.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონა და რიგელები, ასევე „6-6“ ღერძის მიმდებარედ გაზრდილია სავენტილაციო შახტის გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე „6-4“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. +52.80 ნიშნულზე „5-1“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. ფასადზე „3-1“ მონაკვეთში კარის და ვიტრაჟის ღიობს მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე შემცირებულია კარის ღიობის სიგანე 0.15 მ-ით. „3-2“ მონაკვეთში აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური გამყოფები. +52.80 ნიშნულზე „4-2“ მონაკვეთში კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან. „დ-ა“ ფასადზე: +52.80 ნიშნულზე „ბ-ა“ მონაკვეთში კარის ღიობში დამატებით მოწყობილია ლითონის კარი და შემცირებულია კარის გაბარიტები, ასევე კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან. „ა-დ“ ფასადზე, +52.80 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან. +46.20 და +49.50 ნიშნულებზე „ბ-გ“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე 0.15 მ-ით. +46.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები. -6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე „6-1“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და მონაცვლებული აქვს ადგილი რითაც შემცირებულია შენობის ფართი და შემცირებულია კოლონების რაოდენობა. -6.60, -3.30 ნიშნულებზე „4-4“ ღერძზე გაზრდილია მონოლითური კედლების სიგრძე. -6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე კედელი მონაცვლებულია „6-6“ ღერძისკენ, ნაწილობრივ შეცვლილია მისი ფორმა, რითაც შემცირებულია შენობის ფართი და კოლონების რაოდენობა. „6-6“ და „ბ-ბ“ ღერძების კვეთაზე შეცვლილია კოლონის ფორმა. -6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები, ასევე „6-6“ ღერძზე პროექტით გათვალისწინებულ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „5-5“ ღერძისკენ, ხოლო +3.70 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონსოლი. +6.60 ნიშნულზე „6-1“ და „ბ-დ“ მონაკვეთებში შეცვლილია ტერასის ფორმა და გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე „4-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. +52.80 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია კოლონა, ამავე ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში შეცვლილია კედლების ფორმა და გაბარიტები. +52.80 ნიშნულზე „2-4“ მონაკვეთში კიბის უჯრედში გაზრდილია გადახურვის სიმაღლე 0.5 მ-ით. კიბის უჯრედის თავზე „2-3“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. შენობის ფასადებზე არ არის შესრულებული მიუნხენის ლესვა და ღებვა, ასევე „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადებზე გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე, ზოგიერთ აივნებს შორის, დამატებულია ლითონის კონსტრუქციებზე მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები. (შენობის მთელ სიმაღლეზე). შენობის სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა და გაზრდილია მათი გაბარიტები. სახურავზე დამატებით მოწყობილია დაბალი კოლონები. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და შეცვლილია ზოგიერთი კოლონის ფორმა და კვეთი. შენობა მონაცვლებულია და ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000596 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №327100/12 13.09.2016წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ინდეკო"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, შარტავას ქ. №39-ში (საკ. კოდი №01.10.13.015.078) შ.პ.ს. "ინდეკო"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1009535 AR1176480 22.11.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ინდეკო" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ინდეკო"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ინდეკო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაფელი

№000596 დანართი (დანართი ორი ფურცელი)

„1-6“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, „2-3“ მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის სიმაღლე 0.2 მ-ით. „5-6“ მონაკვეთში +3.70 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი, ამავე მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ავტოფარეხის კარის ღიობის გაბარიტები. ±0.00 ნიშნულზე „1-2“ და „4-5“ მონაკვეთებში ვიტრაჟებში შეცვლილია კარის ნახატი. +6.60 ნიშნულზე, „5-6“ მონაკვეთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარი და ფანჯარა, ხოლო +9.90 ნიშნულიდან +46.20 ნიშნულამდე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე 0.7 მ-ით და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი. +46.20 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია კოლონა და რიგელები, ხოლო „5-6“ მონაკვეთში ტერასზე მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი, ასევე „6-6“ ღერძის მიმდებარედ გაზრდილია სავენტილაციო შახტების გაბარიტები. „3-4“ მონაკვეთში +6.60 ნიშნულიდან ზევით +52.80 ნიშნულამდე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი. „2-3“ მონაკვეთში სადარბაზოს ღია აივნების ნაცვლად აივნის ფილებზე ამოყვანილია კედლები და მოწყობილია ღიობები მოაჯირით. +49.50 ნიშნულზე, „1-4“ მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილით გადახურვა. „1-2“ მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე 0.15 მ-ით, ხოლო აივნებზე ვიტრაჟები შემცირებულია სიგანეში და ნაწილობრივ შეცვლილია მათი ნახატი.

„6-1“ ფასადი: „6-5“ და „2-1“ მონაკვეთებში შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე და შეცვლილია მათი ნახატი. „6-6“ და „1-1“ ღერძების მიმდებარედ აივნებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „4-3“ მონაკვეთში სართულებზე შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე და შეცვლილია მისი ნახატი. „6-5“ მონაკვეთში +46.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონა და რიგელები, ასევე „6-6“ ღერძის მიმდებარედ გაზრდილია სავენტილაციო შახტის გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე „6-4“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. +52.80 ნიშნულზე „5-1“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძის გარეთ აივნების თავზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. ფასადზე „3-1“ მონაკვეთში კარის და ვიტრაჟის ღიობს მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე შემცირებულია კარის ღიობის სიგანე 0.15 მ-ით. „3-2“ მონაკვეთში აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური გამყოფები. +52.80 ნიშნულზე „4-2“ მონაკვეთში კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან.

„დ-ა“ ფასადზე: +52.80 ნიშნულზე „ბ-ა“ მონაკვეთში კარის ღიობში დამატებით მოწყობილია ლითონის კარი და შემცირებულია კარის გაბარიტები, ასევე კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან.

„ა-დ“ ფასადზე, +52.80 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან. +46.20 და +49.50 ნიშნულებზე „ბ-გ“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე 0.15 მ-ით. +46.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები.

-6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე „6-1“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და მონაცვლებული აქვს ადგილი რითაც შემცირებულია შენობის ფართი და შემცირებულია კოლონების რაოდენობა. -6.60, -3.30 ნიშნულებზე „4-4“ ღერძზე გაზრდილია მონოლითური კედლების სიგრძე. -6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე კედელი მონაცვლებულია „6-6“ ღერძისკენ, ნაწილობრივ შეცვლილია მისი ფორმა, რითაც შემცირებულია შენობის ფართი და კოლონების რაოდენობა. „6-6“ და „ბ-ბ“ ღერძების კვეთაზე შეცვლილია კოლონის ფორმა. -6.60, -3.30 და ±0.00 ნიშნულებზე „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები, ასევე „6-6“ ღერძზე პროექტით გათვალისწინებულ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „5-5“ ღერძისკენ,

ხოლო +3.70 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონსოლი. +6.60 ნიშნულზე „6-1“ და „ბ-დ“ მონაკვეთებში შეცვლილია ტერასის ფორმა და გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე „4-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები. +52.80 ნიშნულზე „ბ-ბ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია კოლონა, ამავე ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში შეცვლილია კედლების ფორმა და გაბარიტები. +52.80 ნიშნულზე „2-4“ მონაკვეთში კიბის უჯრედში გაზრდილია გადახურვის სიმაღლე 0.5 მ-ით. კიბის უჯრედის თავზე „2-3“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა.

შენობის ფასადებზე არ არის შესრულებული მიუნხენის ლესვა და ღებვა, ასევე „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადებზე გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე, ზოგიერთ აივნებს შორის, დამატებულია ლითონის კონსტრუქციებზე მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები. (შენობის მთელ სიმაღლეზე). შენობის სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა და გაზრდილია მათი გაბარიტები. სახურავზე დამატებით მოწყობილია დაბალი კოლონები. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და შეცვლილია ზოგიერთი კოლონის ფორმა და კვეთი. შენობა მონაცვლებულია და ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

მთავარი სპეციალისტი /გ.ეთერია/

ჩაიბარა

საგადახდო დავალება
Payment Order

1474541388 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 22/09/2016

გადამხდელი / Sender

შპს 'ინდეკო', 202376133

რეფერენსი / Ref. Num.

1439989907

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE65TB7790936070100001

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს 'ინდეკო', 202376133

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 202376133

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

22/09/2016

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N 000596 საამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.